

INTERNATIONAL PROGRAM

საერთაშორისო პროგრამა

2010



TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი



სარჩევი CONTENT



თბილისის
საერთაშორისო
თეატრალური
ფესტივალი

TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE

ლიტვა, ვილნიუსის საქალაქო თეატრი, „ჰამლეტი“ / Lithuania, OKT Theatre “HAMLET”

იტალია, მილანის პიკოლო თეატრი, „არლეკინი, ორი ბატონის მსახური“
Italy, Picollo Theatre, Milan, “ARLECCHINO, SERVANT OF TWO MASTERS”

გერმანია, თეატრი ძაფებზე, „იორინდე და იორინგელი“ / Germany, Theatre on the Thread, “JORINDE AND JORINGEL”

სომხეთი, ერევანის მოზარდ მყურებელთა სახელმწიფო თეატრი, „ღრუბლები“
Armenia, Yerevan State Youth Theatre, “CLOUDS”

ესტონეთი, პიარნუს ენდლას თეატრი, „მონატრება“ / Estonia, Pärnu Theatre Endla, “THIRST”

ლიტვა, თეატრი მენო ფორტასი, „ჰამლეტი“ / Lithuania, Theatre Meno Fortas, “HAMLET”

საფრანგეთი, სასცენო ხელოვნების კომპანია, „ციცინო ანუ პოლიტიკური პიესა“
France, La Compagnie L'ART SCENIQUE, “TSITSINO'S WORLD OR POLITICAL PLAY”

ხორვატია, რიეკას HKD თეატრი, „სამსხევი“ / Croatia, HKD Theatre, Rijeka, “MENAGERIE”

ირანის თოჯინების თეატრი „არანი“, „როსტამი და ზოჰრაბი“
Aran Puppet Theatre, Iran, “ROSTAM AND SOHRAB”

დიდი ბრიტანეთი, კომპანია Imitating The Dog, „სასტუმრო მათუსალა“ / UK, Imitating The Dog, “HOTEL METHUSELAH”

რუსეთი, გიორგი ტოვსტონოგოვის სახელობის დიდი დრამატული თეატრი, „კოპენჰაგენი“
Russia, BDT Theatre, “COPENHAGEN”

ისრაელი, თანამედროვე ცეკვის კომპანია კიბუცი, „ბნელ ბაღში“
Israel, Kibbutz Contemporary Dance Company, “IN THE BLACK GARDEN”

ფესტივალის ინიციატორი და მასპინძელი
ქალაქ თბილისის მერია

TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE IS
INITIATED AND HOSTED BY MUNICIPALITY OF TBILISI



ფესტივალის პარტნიორი

FESTIVAL PARTNER



საქართველოს კულტურისა
და ეთნოლოგიის ცენტრი
სამინისტრო

ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ფესტივალს მხარი დაუჭირა ქართულმა და
საერთაშორისო ორგანიზაციებმა და კომპანიებმა საქართველოში და
მის ფარგლებს გარეთ

IT IS A BIG HONOR FOR US THAT FESTIVAL WAS SUPPORTED BY GEORGIAN AND
INTERNATIONAL ORGANIZATIONS AND COMPANIES IN GEORGIA AND OUTSIDE

კორპორატიული პარტნიორი / CORPORATE PARTNER



პროექტის პარტნიორი / PROJECT PARTNER



ერანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო
კულტურის სამსახური



ოფიციალური გადაგზიდი / OFFICIAL CARRIER

airBaltic

პარტნიორები / PARTNERS



ფესტივალის მასპინძელი / FESTIVAL HOSTS



Beaumonde Garden

Cafe 10'a



RESTAURANT
VILLAGE
HOUSE



MARJAROFF EXPRESS

სპონსორები / SPONSORS



Georgian Industrial Group



საინფორმაციო მხარდაჭერა / MEDIA SUPPORT



24 საათი

ტელევიზია



GEOORGIA TODAY

FORUMS

საბჭოთაო

RADIO MUZA



თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

21-ე საუკუნე გამოჩენილია კულტურის საზღვრების გაფართოებითა და მეტი ინტერნაციონალიზაციით. ამ პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ფესტივალებს უკავია — ფესტივალები კულტურული თანამშრომლობისა და საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციის საუკეთესო საშუალებაა.

თეატრალური ფესტივალი ყველა ქვეყნისათვის განსაკუთრებული პროვილეგიაა და ფუფუნება, არა მხოლოდ ფინანსური, შემოქმედებითი ფუფუნება.

ფესტივალი, განსაკუთრებით წარმატების შემთხვევაში, კულტურულ ცხოვრებას აცოცხლებს, პროფესიონალებისათვის კი იგი ერთგვარი ტრანსფერ ცენტრია, რომელსაც ახალი შემოქმედებითი პოტენციალით ავსებს ატმოსფეროს, ქმნის განვითარების, წარმოდგენის ახალ პერსპექტივას.

ფესტივალი, როგორც წესი, ქალაქის კულტურულ პოტენციალს აკავშირებს და აერთიანებს და ამითი მაცურებელს, მოსახლეობას საკუთარ ქალაქსა და ქვეყანაზე ახალ პერსპექტივას უქმნის კულტურულ და სოციალურ კონტექსტში.

მთავარია, როგორი იქნება ფესტივალი, რას მისცემს იგი თბილისს, თბილისის იმ ლეგენდას და მითს, რომლის ხიბლი დიდად განსაზღვრავს საერთაშორისო სამყაროს დაინტერესებას ფესტივალის მიმართ, რას მისცემს ფესტივალი პროფესიონალებს, რა შემოქმედებით პერსპექტივას შეუქმნის თეატრს.

ფესტივალის მისია:

ფესტივალი პროფესიონალებისათვის ფესტივალი საოცნებო უნდა გახდეს, ხოლო მაცურელებისათვის განსაკუთრებული მოვლენა, განსხვავებული, არაორდინარული ცხოვრების შესაძლებლობა; საქართველოსათვის — კი სავიზიტო ბარათი სამყაროში.

ფესტივალის მიზანი ქართული თეატრისა და კულტურის, თბილისისა და საქართველოს პოპულარიზაციაა მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ და ინტელექტუალურ მოვლენათა რიგში.

პროგრამა 2010 :

- საერთაშორისო პროგრამა
- ქართული სპექტაკლების პროგრამა
- სემინარები, გამოფენები, პრეზენტაციები

ორგანიზაციული სტრუქტურა

ფესტივალი დაფუძნებულია 2009 წელს ქალაქ თბილისის მერიის ინიციატივით როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი: „თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი“. გააჩნია საკუთარი ანგარიში, ბეჭედი და ემბლემა.

ცენტრი შედგება დირექტორის, მრჩეველთა საბჭოსა და სამუშაო გუნდისაგან.

ფესტივალის მრჩეველთა საბჭო:

გიგი უგულავა – თბილისის მერი, ქალაქ თბილისის მთავრობის თავმჯდომარე

ნიკოლოზ რურუა – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი

ზაალ სამადაშვილი – მწერალი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე

იოსი ტალ-განი – დირექტორი, ისრაელის ფესტივალი, ისრაელი
თემურ ჩხეიძე – რეჟისორი, დიდი დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, პეტერბურგი, რუსეთი

როჯერ მაკკენი – თეატრალური ექსპერტი, პროდიუსერი, დირექტორი, დიდი ბრიტანეთი

გოგი მარგველაშვილი – რეჟისორი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორი

კონსტანტინე კირიაკი – სიბიუს საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი, პროდიუსერი, რუმინეთი

ზაალ ჩიქობავა – შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მმართველი

თამარ კირვალიძე – საგარეო ურთიერთობისა და მედია კომუნიკაციის დირექტორი, თიბისი ბანკი

ნიკალა ჯუღელი – ბიზნესმენი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ფესტივალის ოფისი

ფესტივალის ოფისი მდებარეობს მარჯანიშვილის თეატრში, მისამართი: მარჯანიშვილის ქ. 8

ფესტივალის მასპინძელი თეატრები:

- რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
- მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
- მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
- ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრი
- გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი
- თავისუფალი თეატრი
- სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი
- სამეფო უბნის თეატრი

თბილისის საერთაშორისო თეატრალური

ფესტივალი 2010 წელი

პროგრამა

ქართული სპექტაკლების პროგრამა

29 სექტემბერი - 2 ოქტომბერი

საერთაშორისო პროგრამა

3-15 ოქტომბერი

პროფესიონალ კრიტიკოსთა სიმპოზიუმი – კულტურული ხიდი

1-2 ოქტომბერი

თეატრი-მაცურებელი-კრიტიკა: „ბერმუდის სამკუთხედი“ თუ „იდიალური სამეული“
სასტუმრო „ციტადინი“, თავისუფლების მოედანი 4

პორეპოპები და მასტერკლასები

11:00 , 4 ოქტომბერი , 2010

ფარუჩო სოლარის მასტერკლასი კომედია დელ'არტაზე.

პიკოლო თეატრი, იტალია

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი
რუსთაველის გამზირი 19

14 და 15 ოქტომბერი

კომპანია “IMMITATING THE DOG”- ის პორეპოპები, დიდი ბრიტანეთი

ინტერაქტიური ტექნოლოგიები

ექსპერიმენტული ტექსტები

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი
რუსთაველის გამზირი 19

პრეზენტაციები:

6 ოქტომბერი , 17:00, მარჯანიშვილის თეატრი, მცირე სცენა „სხვენი“. მარჯანიშვილის ქ. 8

საუკეთესო ამერიკელი დრამატურგის საუკეთესო პიესა „კამინო რეალი“, ტენესი უილიამსი, პირველი თარგმანი საქართველოში!

მანანა ანთაძე მთარგმნელი, მიხეილ თუმანიშვილის ფონდის დამაარსებელი, ყოველწლიური პრემიების „საუკეთესო თარგმანები“ და „ახალი ქართული პიესა“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

გამომცემლობა „აგორა“, თარგმანი და გამოცემა დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ

8 ოქტომბერი, 17:00, „ქიმირონი“, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
რუსთაველის გამზირი 17

აკაკი ვასაძის (მე-20-ე საუკუნის გამოჩენილი მსახიობი, რეჟისორი და საზოგადო მოღვაწე) წიგნების — „მოგონებები, ფიქრები“ — (I-II, მეორე შევსებული გამოცემა) გაყიდვა-პრეზენტაცია.

პროექტის ავტორი: მაკა ვასაძე, თეატრთმცოდნე, კრიტიკოსი, გაზეთ „კულტურას“ რედაქტორი

გამოფენა

„ფოტოსესია 2009“ — თეონა კვეზერელის, თაკო რობაქიძისა და ხატია ფსუტურის ფოტონამუშევრების გამოფენა. 2009 წლის ფესტივალის სპექტაკლებისა და მოვლენების კოლექცია.

ყველა პრეზენტაცია და მასტერკლასი ფესტივალისათვის საჩუქარია !

და არ დაივიწყოთ : ფესტივალის კლუბი 10 A - გელოდებთ ყოველდღე ღვინით გაჯეებული შემოქმედებითი ატმოსფეროთი !



TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE

TBILISI INTERNATIONAL, is founded by Tbilisi Municipality, by initiative of Tbilisi Mayor Gigi Ugulava in 2009. Charm of one of the oldest cities in the world - Tbilisi - its atmosphere and diversity, its culture and life, its vitality is something, that could create unforgettable experience and inspiration for all participants.

The Festival runs every year by the end of September, beginning of October and is one of the major events in International life of Georgia. But not only - it is becoming one of the main performing arts events in Caucasia, attracting attention of the most well-known, creative, provocative and innovative theater productions from the world, a meeting point of Europe and Asia, of many countries and places in one of the most beautiful, warm, unique theatrical and cultural TBILISI, the capital of Georgia.

Briefly about the first edition of TBILISI INTERNATIONAL - 2009

In 2009 the Festival hosted 15 performances from 13 different countries of Europe, Caucasia and Asia. We had 350 guests and many spectators, with wide media coverage and international publications.

The Georgian Show Case- one of the major events of the Festival hosted 51 theater producers and critics from Europe and Asia. 27 Georgian performances were shown during the 4 days of Georgian Show Case. As a result, several Georgian productions are invited to the international festivals abroad and co-productions with the theaters from Europe are also initiated.

2010 TBS INTERNATIONAL

- INTERNATIONAL PROGRAM
- GEORGIAN SHOWCASE
- MASTERCLASSES, WORKSHOPS AND EXHIBITIONS

Special events and programs for artists, public and guests will add passion to FESTIVAL.

Cultural cooperation in general and exchanges between artists and other cultural professionals are most important tool for artistic development, for friendship and sure, for peace. We aim TBILISI INTERNATIONAL - with its artistic delights will enliven the development and increase the degree of cooperation and interchange between Georgia, Caucasia and other parts of the world.

Festival Structure

The Festival consists of Festival director's office and small staff working on temporary basis.

Festival Office:

Kote Marjanishvili State Drama Theatre
Marjanishvili 8, 0102, Tbilisi, Georgia
Tel/Fax: + 995 32 95 40 01

Information: + 995 32 95 35 82 / 95 43 07

Festival Board:

- Gigi Ugulava** – Mayor of Tbilisi, Head of Tbilisi Government
Nikoloz Rurua - Minister, Ministry of Culture and Monuments Protection of Georgia
Zaal Samadashvili - Writer, Head of Tbilisi Local Government,
Yossi Tal-Gan – Director, Israel Festival, Jerusalem, Israel
Constantin Chiriac - Producer, Artistic director of International Festival of Theater, Sibiu, Romania
Temur Chkheidze - Stage Director, Artistic Director, BDT, St. Petersburg, Russia
Gogi Margvelashvili - Rector, Tbilisi Shota Rustaveli State University of Theater and Cinema
Zaal Chikobava - General Manager, Shota Rustaveli State Drama Theatre
Roger MacCann – Theater Expert, Producer, NFA International, UK
Nikala Jugeli – PhD Economic Sciences, Businessman
Tamar Kirvalidze – Director of External Relations and Media Communications, TBC Bank

Festival is hosted by:

Shota Rustaveli State Drama Theatre
Marjanishvili State Drama Theatre
Tumanishvili Film Actor's Studio Theatre
Griboedov State Russian Drama Theatre
Vaso Abashidze Music and Drama Theatre
Liberty Theatre
Royal District Theatre
Sandro Akhmeteli Municipal Theatre
Theatre "Veriko"
Theatre "Atonelze"

**TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE 2010
Program****GEORGIAN SHOW CASE**

29 September - 2 October

INTERNATIONAL PROGRAM OF PERFORMANCES

3-15 October

**EXPERIENCED CRITICS SYMPOSIUM - CULTURAL
BRIDGE**

1-2 October

Theatres – Audience – Critics: "Bermuda Triangle" or a "Holy Trinity"

Hotel Citadines , Freedom Square 4, Building 2A

WORKSHOPS AND MASTER CLASSES :

4 October, 2010

**FERUCCIO SOLERI ON "COMMEDIA DELL' ARTE",
PICOLLO TEATRI DI MILANO, ITALY**

Tbilisi State Theatre and Cinema University

14 and 15 October

**WORKSHOPS OF COMPANY "IMMITATING THE
DOG", UK****INTERACTIVE TECHNOLOGIES****EXPERIMENTIVE NARRATIVES**

Tbilisi State Theatre and Cinema University

Rustaveli Avenue 19

PRESENTATIONS:

6 October, 17:00, Marjanishvili State Drama Theatre, Small Stage
"The Roof"

THE BEST PLAY OF THE BEST PLAY WRITER OF USA

"Camino Real ", Tennessee Williams - first Georgian Translation
of the play by Manana Antadze, translator, head of Mikhail
Tumanishvili Foundation, author of the two annual competitions
of "The Best Translations" and "New Georgian Plays"

PUBLISHED BY "AGORA"

**PROJECT IS KINDLY SUPPORTED BY USA EMBASSY IN
GEORGIA**

Marjanishvili Street 8

Maka Vasadze

17:00, 8 October , "Kimerioni", Rustaveli State Drama Theatre
"Akaki Vasadze", presentation of book by Maka Vasadze

Rustaveli Avenue 17

EXHIBITION

Photo Call 2009 Festival- the exhibition of photographers : Teona
Kvezereli, Tako Robakidze, Khatia Psuturi . The best collection from
2009 festival performances and events

Please, note that projects of workshops and master classes are
kind gifts for the festival.

AND DO NOT FORGET THAT FESTIVAL CLUB 10A
IS EXPECTING YOU EVERYDAY WITH CREATIVE ATMOSPHERE
SUPPORTED BY WINE !



**თბილისის მერის, ბატონ გივი უგულავას
მისალმება თეატრალური ფესტივალის მონაწილეებს**

ძვირფასო მეგობრებო,

ჩვენი დედაქალაქი ოდითგანვე კავკასიის კულტურული ცენტრი იყო. მოხარული ვარ, რომ ეს დიდებული ტრადიცია არააუ იკარგება, არამედ თანამედროვე ეპოქაში ახლებურ ელვარებასა და შინაარსს იძენს, რისი თვალნათელი მაგალითიცაა თეატრალური ფესტივალი, რომელიც თბილისში ტარდება.

თბილისი, მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული თეატრალური ცხოვრებით და ატმოსფეროთი – შემოქმედებითი გაერთიანებების, ერთობლივი მხატვრული პროექტების, კულტურული დისკუსიისა და, უბრალოდ, მეგობრული ურთიერთობების შესანიშნავი ასპარეზია.

საქართველოს დედაქალაქი სწრაფად ვითარდება. ბუნებრივია, ეს კულტურულ ცხოვრებასაც ეხება. იმედი მაქვს, საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, სხვა კულტურულ ღონისძიებებთან ერთად, თბილისის მრავალფეროვანი და მიმზიდველი სახელოვნებო კალენდრის უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცევა.

საგულისხმო და მისასალმებელია ფესტივალის ირგვლივ ქართველ თეატრალთა კონსოლიდაცია. განსაკუთრებით აღვნიშნავ ქართული სპექტაკლების პროგრამას, რომელიც ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი, საინტერესო და შორს გამიზნული პროექტია. წელს, სტუმრების მოზღვავეებითა და სპექტაკლების ოდენობით, იგი კიდევ უფრო გამდიდრდა.

GREETINGS TO THE FESTIVAL GUESTS AND PARTICIPANTS FROM THE MAYOR OF TBILISI, GIGI UGULAVA

Dear Friends,

Ever since the earliest of times, our capital has been the cultural centre of the Caucasus and it gives me the greatest of pleasure that today this tradition not only continues but expands and thrives with each passing year.

The Tbilisi International Festival of Theatre is an excellent example of this. With its active theatre scene and welcoming environment, Tbilisi is a highly attractive centre for creative gatherings, joint projects, cultural discussions and, quite simply, good friendly relations.

The capital of Georgia is growing fast, a process that encompasses its cultural life as well. I hope that the Tbilisi International Festival of Theatre, together with other similar events, will become an increasingly important event in Tbilisi's already diverse and attractive cultural calendar.

I am glad to see the contribution of our city's theatres to the Festival, in particular the Georgian Theatre Showcase which is of the most vibrant and interesting projects with an exciting long-term aim. The

ფესტივალის საერთაშორისო პროგრამა კი მართლაც მრავალფეროვანი და საინტერესოა. იგი ყველა ასაკისა და გემოვნების მათყურებელზეა გათვლილი. აქვე აღვნიშნავ, რომ მე-20 საუკუნის შედეგის, „ორი ბატონის მსახურის“ მასპინძლობა, მართლაც რომ საამაყოა.

ბუნებრივია, თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე მომავალი აქვს, რადგან ჭეშმარიტი ხელოვნება წარმოუდგენელია როგორც აღმავრენის, წარმატების, შემოქმედებითი გამარჯვების, ასევე დროებითი იმედგაცრუების, მარცხისა და კრიტიკის გარეშე. მაგრამ თბილისელები მას ყოველთვის მხარს დაუჭერენ, რადგან შემოქმედება სულიერი სიმდიდრის, წინსვლისა და განვითარების უმთავრესი პირობაა.

ძვირფასო მათყურებლებო და თეატრალეზო, ძვირფასო თბილისელებო და სტუმრებო, კიდევ ერთხელ გილოცავთ თეატრალური ფესტივალის დაბრუნებას. ნელს იგი მხოლოდ 2 წლის ხდება!

ვუსურვებ, თბილისის ღირსეული „მოქალაქე“ გახდეს და ხანგრძლივი ისტორია ჰქონდეს. ვუსურვებ სილაღეს და თეატრის სიყვარულით გამთბარ, სავსე დარბაზებს.

international programme itself is exceptionally diverse and provides for audiences of all ages and tastes. It gives Tbilisi particular pride to host Giorgio Strehler and Piccolo Teatro di Milano's masterpiece production of Goldoni's timeless comedy "Arlecchino: Servant of Two Masters".

The programme for the 2010 Festival is more extensive than last year's, and there is also been an increase in the total number of audience and other visitors.

This will set a positive trend for future Festivals, that I am sure will also have difficulties and contradictions, as true art couldn't be imagined without inspiration, success, artistic victories side by side with mischance and sometimes disappointments. But I know that the people of Tbilisi will always support their Festival since any form of creativity is essential to our spiritual wealth and progress.

Dear theatre goers and artists, dear citizens and guests of Tbilisi, once again I would like to congratulate you on the Tbilisi International Festival of Theatre. This autumn we are celebrating the Festival's second anniversary, and I welcome it as a worthy citizen of our city and wish it a long and rich life.



ქართული თეატრი

თეატრალურ ხელოვნებას საქართველოში მდიდარი ტრადიციები გააჩნია. ძველი ქართული სახალხო დღესასწაულებიდან მოყოლებული (ბერიკაობა, ყენობა) ქართულმა თეატრმა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის I ნახევარში შეძლო პროფესიულ დასად ჩამოყალიბება და მაცურებელს პირველი ქართული სპექტაკლი გიორგი ერისთავის „გაყრა“ უჩვენა.

მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში ქართული თეატრის დიდი რეფორმატორები, რეჟისორები კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი ახალ ეპოქას ქმნიდნენ. ამ ორი რეჟისორის სპექტაკლები იმდროინდელი ქართული საზოგადოების და საერთაშორისო თეატრალური ელიტის განხილვის საგანი გახდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს, მე-20 საუკუნის II ნახევრის დიდი რეჟისორების მიხეილ თუმანიშვილისა და რობერტ სტურუას მოღვაწეობა, მათი ნვლილი ჩვენი თეატრის განვითარებაში. თუმანიშვილმა და სტურუამ მსოფლიო აღიარება მოუტანეს ქართულ თეატრს. მათი სპექტაკლებით: „ანტიგონე“, „ჭინჭრაქა“ (მიხეილ თუმანიშვილი), „კავკასიური ცარცის წრე“, „მეფე ლირი“, „რიჩარდ მესამე“ (რობერტ სტურუა) განსაკუთრებული ფურცელი ჩაინერა ქართული თეატრის ისტორიაში.

აღნიშვნის ღირსია ქართული სცენოგრაფია, დიდი ქართველი მხატვრების: ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, ელენე ახვლედიანის, პეტრე ოცხელის, ირაკლი გამრეკელის მოღვაწეობა თეატრში. ტრადიცია გრძელდება, თანამედროვე მხატვრების: გოგი ალექსი-მესხისშვილის, თემურ ნინუას, თეიმურაზ მურვანიძის სცენოგრაფიამ 2010 წლის ივნისში დიდი წარმატებით წარადგინა ქართული კულტურა პარიზში.

GEORGIAN THEATRE

The art of theatre enjoys a rich tradition in Georgia. It is rooted in ancient public celebrations such as our “Berikaoba” fertility masquerades and the related “Keenoba” folk plays. By the early 19th century Georgians had already experienced their first professional company with the premiere of Giorgi Eristavi’s “The Divorce”. In the 20th century, giants of Georgian theatre include directors Kote Marjanishvili and Sandro Akhmeteli, a joint artistic powerhouse who created a new era of innovation as their productions consistently drew Georgian and international attention.

The work of their successors Robert Sturua and Mikhail Tumanishvili has continued to bring success to Georgian theatre on an international platform. Taking a special place in the annals of Georgian and world theatre are Tumanishvili’s “Antigone” and “Chinchraka”, and Sturua’s “The Caucasian Chalk Circle”, “King Lear” and “Richard III”.

Georgian stage design is equally notable, as embodied by the works of such designers as Lado Gudiasvili, David Kakabadze, Elene Akhvediani, Petre Otskheli, Irakli Gamrekeli and Soliko Virsaladze, each of whose sets and

costumes are groundbreaking examples of their art. One of the central pieces of the recent Georgian Culture Days, held this spring in Paris, was a collection of stage design and costumes featuring masters old and modern: Gogi Aleksi-Meskhisvili, Temur Ninua, Muraz Murvanidze.

Today, at the beginning of the 21st century, new companies are being established and work alongside our traditional theatres.

დღეს, 21-ე საუკუნის დასაწყისში, აკადემიური თეატრების გვერდით იქმნება ახალი ტიპის ექსპერიმენტული თეატრები, იკვებება ახალი ტენდენციები. განვითარების ამ პროცესში ქართული თეატრი არ კარგავს თავის ისტორიულ სახეს. თანამედროვე რეპერტუარში ხშირად შეხვდებით უკვე კლასიკად ქცეულ და თანამედროვეობაში განახლებულ სპექტაკლებს. რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ზურაბ ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“ დადგა, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში კი ქართული თეატრის ერთ-ერთი შედეგური „ურიელ აკოსტა“ დღესაც ცოცხლობს.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ცდილობს ხელი შეუწყოს თანამედროვე ქართული თეატრის განვითარებას არა მარტო თბილისში, არამედ რეგიონებში. დღეისათვის საქართველოში 30-ზე მეტი თეატრია, ჟანრული თვალსაზრისით ქართული თეატრი მრავალმხრივად ვითარდება. დრამატული და მუსიკალური თეატრების გვერდით ფუნქციონირებს პანტომიმის, თოჯინების, თითების, ჩრდილების, მარიონეტების თეატრები.

უკვე მეორე წელია ქალაქის მერიისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით თბილისში საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ტარდება. ჩვენს დედაქალაქს სტუმრობს უამრავი საინტერესო თეატრი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. ფესტივალში ბევრი ქართული თეატრი მონაწილეობს. იმართება ვორკ-შოფები, მასტერკლასები. შემოქმედებითი ჯგუფები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, აცნობენ საკუთარ შემოქმედებას, ტრადიციებს, ამყარებენ ბიზნეს-კონტაქტებს.

იმედს გამოვთქვამთ, წლევეანდელი თეატრალური ფესტივალი ისეთივე ნაყოფიერი იქნება, ჩვენს მაყურებელს ბევრ საინტერესო უცხოურ წარმოდგენას შესთავაზებს და ქართული თეატრის დღევანდლობასაც ღირსეულად წარადგენს.

მინდა წარმართებები ვუსურვო ქართულ თეატრს და მის ყველა წარმომადგენელს.

ნიკოლოზ რურუა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი

New tendencies continue to appear and yet, in this fast-moving period, Georgian theatre refuses to lose touch with its historical roots. The contemporary repertoire regularly includes plays that are established classics but interpreted in modern ways, such as “Eclipse in Georgia”, recently staged by Gocha Kapanadze at the Shota Rustaveli State Drama Theatre, or “Huriel Akosta”, a 1928 masterpiece that is still produced by the Marjanishvili State Drama Theatre.

The Ministry of Culture and Monuments supports and promotes the development of modern Georgian theatre, not only in Tbilisi but also throughout the regions. Today there are more than 50 large and small theatres in Georgia

with a wide and versatile range of genres including drama, musical, puppets and pantomime. It is through the initiative of the City Hall of Tbilisi and the support of the Ministry of Culture that this is now the second year the Tbilisi International Festival of Theatre has been held. A range of

innovative theatre companies from across the world have come to visit our capital, Georgian companies are taking part in the Georgian Theatre Showcase, workshops and master classes are being held. Artists from different countries are here to share their traditions and ideas with each other and to make contacts both professionally and personally.

We trust that the Tbilisi International Festival of Theatre will be especially fruitful this year for audiences and performers alike, with Georgian companies mixing with their international counterparts.

I would like to wish continued success therefore to Georgian theatre and each of its representatives!

Nikoloz Rurua

Minister of Culture and Monuments Protection of Georgia



რა უნდა ფესტივალს . . .

ჩვენ რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქაში ვცხოვრობთ. დრო აჩქარდა, უამრავ საზრუნავს მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი, უმეტესად კინემატიური ინფორმაცია ემატება. კითხვები სამყაროსა და ცხოვრების მიმართ უფრო მეტი გვიჩნდება, ვიდრე უნდა გვექნოდეს კაცობრიობის აზროვნების მრავალსაუკუნოვანი განვითარების, დასკვნებისა და ისტორიის მიუხედავად. თუმცა ადამიანის სწრაფვა საკუთარი თავის შეცნობისაკენ მუდმივია ყველა დროსა და საუკუნეში, მისი ლტოლვა ბედნიებისაკენ კი – შეუჩერებელი. ადამიანი, საბოლოო ჯამში, არასდროს თვლის ცხოვრებას ამაოებად და ყველა კითხვაზე მუდმივად ეძებს პასუხს. მას უნდა უკეთესი გახდეს.

ვფიქრობ, ფესტივალის დანიშნულებაც საზოგადოებისა და ინდივიდის მთავარ კითხვებზე პასუხის გაცემა ან მცდელობა მაინც უნდა იყოს, დებატების, დისკუსიის გამონკვევის შესაძლებლობა. ყოველი შემთხვევისთვის, სანამ მე ფესტივალზე პასუხისმგებლობა მაკისრია, ვფიქრობ, ფესტივალის პროგრამა მთლიანობაში, ისევე როგორც თვით თეატრი, დროისა და საზოგადოების სარკე უნდა იყოს, ინდივიდუალური და კოლექტიური თავისუფლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სივრცე.

დღეს, კულტურათა დიალოგის ეპოქაში, ყველა ფესტივალი ილტვის საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა მნიშვნელოვანი მოთამაშე გახდეს. საერთაშორისო ურთიერთობები განვითარების, წინსვლის სანინდარია. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, თბილისის

WHAT THE FESTIVAL WANTS

We live in difficult times, rapid and full of contradictions period. Together with many concerns, we are constantly worried with diverse and numerous information, mostly negative. Today we have more questions to universe and to life than we should - yes, despite of long experience and history of mankind's mind. But aspiration of humans towards self-understanding is constant in all times. And the strive for happiness - non-stop and persistent. Yes, humans never consider life useless and always search for new questions and new answers - man always wants to be better.

I think, that TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE - should try and find answers to questions set by society or individuals; it should attempt and cause debates, challenge society for discussions. In any case, as long as I am responsible for the Festival, the festival program in general, as well as theatre itself, I believe, should be the mirror that reflects us, our times, and our society. The Festival should be the unlimited space for individual and collective freedom.

Today in the period of culture dialogues, every festival strives to be an important player on international level. International dialogue is a tool for development and progress. From this view, we think, TBS International should fulfill historic "assignment" and find its own way and place on international board of cultural events and institutions. Specially, when we suggest, that one of our goals is integration of Georgian Culture and Theater and Tbilisi on International level.

საერთაშორისო ფესტივალი ისტორიული „დავლება“ უნდა შეასრულოს. ჩვენი უმთავრესი მიზანი ქართული კულტურისა და თეატრის საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირებაა.

რადგან ეპოქის სირთულეები ვახსენეთ, მინდა აღვნიშნო, რომ ფესტივალი პოლიტიკურ და სოციალურ კონტექსტსაც მოიცავს და, რაღა თქმა უნდა, გარკვეულწილად, გავლენასაც ახდენს. როცა საზღვრების გადალახვასა და „ცხოვრების გაუმჯობესებაზე“ ფიქრობთ, გაითვალისწინეთ, ფესტივალი პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ ასპექტში რეალობაა, იმედი მაქვს – ჰარმონიული, რადგან კულტურისა და განათლების გარეშე კაცობრიობის ყოველგვარი „საქმიანობა“, უბრალოდ, აზრს კარგავს.

ფესტივალი, როგორც წესი, ქალაქის კულტურულ პოტენციალს აკავშირებს და აერთიანებს და ამითი მაცურებელს, მოსახლეობას საკუთარ ქალაქზე და ქვეყანაზე ახალ პერსპექტივას უქმნის კულტურულ და სოციალურ კონტექსტში.

გვსურს, თქვენთან ერთად აღმოვაჩინოთ ყველაფერი ახალი – თეატრალური ფორმა, ტექსტი, მსახიობი, ხელოვნების ნიმუში, მაცურებელი, ღირებულებები, აზრი. . . გვსურს, გავარღვიოთ საზღვრები, შევიცნოთ ჯერ უცნობი კულტურები, ახალი და განსხვავებული მიდგომები ხელოვნებისა და სამყაროსადმი.

ვფიქრობთ, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი კომუნიკაციის განსაკუთრებული, განსხვავებული საშუალება გახდება და სწორედ ეს იქნება მისი ერთერთი მთავარი დანიშნულება.

გვინდა, რომ ფესტივალი იყოს „თავგადასავალი“ ყველა მისი მონაწილისათვის, მაცურებლისათვის!

და ბოლოს, დამიჯერეთ, ფესტივალის პროგრამაც ცოცხალი ორგანიზმივითაა – იგი ყოველთვის „მოინდომებს“ უკეთესი გახდეს.

ეკატერინე მაზმიშვილი
ფესტივალის დირექტორი

As we mentioned our not easy times, I also would like to note, that Festival, no doubts, will touch political and social context. And certainly makes influence on it, to some extent. When we speak about crossing the boarders and improvement of life, we think that festival is reality for political, social and economic perspective and I hope, harmonious reality. As, it is sure, without culture and education any sphere of activities of mankind simply loses its meaning.

As a rule, Festivals unite potential and possibilities of city and region and in this way; we consider that TBS INTERNATIONAL creates a new perspective of our capital - Tbilisi and country in cultural and social context.

With Tbilisi International Festival of Theatre – we, together with you, would like, to discover everything new - theatrical forms, texts, actors, works, ideas, values; we would like to cross boarders, understand yet unknown cultures, new and unusual approaches to world and art.

We think that festival becomes can be new, different tool for communication and this will be its one of the main goals.

We hope that Festival becomes a “journey” for all its participants and audiences!

And in the end, please, believe me - the festival program is like living being - it always “Wants “to be better.

Eka Mazmishvili
Festival Director



რატომ თბილისი

რიდიარდ კიპლინგმა ერთხელ თქვა – დასავლეთი მაინც დასავლეთია, აღმოსავლეთი კი ისევ აღმოსავლეთი და ისინი ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთსო. მაგრამ ცხოვრებაში ერთხელ, თურმე შეიძლება პოეტიც შეცდეს, რადგან კიპლინგი არასდროს ყოფილა თბილისში და ამიტომაც მან უბრალოდ არ იცოდა, რომ ასეთი ქალაქი სინამდვილეში ყოველთვის არსებობდა.

ასეთი ქალაქი ახლაც არსებობს და კიპლინგისაგან განსხვავებით, თქვენ შეგიძლიათ ახლაც ენვიით თბილისს და თავად დარწმუნდეთ იმაში, რომ დასავლეთი და აღმოსავლეთი აქ, მართლა, ერთმანეთს ხვდებიან.

თქვენ კი აქ, თქვენს ბავშვობას შეხვდებით, რადგან თბილისი იმ საქართველოს დედაქალაქია, რომელსაც ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მწერლებმა ზღაპრული ქვეყანა უწოდეს და ბავშვობის ზღაპარში დაბრუნებას რა ჯობს.

სტუმრებისთვის კი ნამდვილად ჯობია, რომ თბილისს შემოდგომაზე ენვიონ, რადგან საქართველო ღვინის სამშობლოც არის და რთველის დანყება თბილისის თეატრალურ ფესტივალს ემთხვევა. ქართველებიც ყველაზე ბედნიერები და მხიარულები, არტისტულები და სტუმართმოყვარეები, სწორედ შემოდგომაზე არიან და ოქტომბერში თბილისი და საქართველო, მართლა, ოქროსფერი ხდება.

სხვათა შორის, ამ ქვეყანაში არგონავტები სინამდვილეში ოქროსთვის მოვიდნენ, მაგრამ კოლხი მედეას გამო ისინი აქ ვეღარ დაბრუნდნენ და ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ამ მიწაზე ნამყოფი უცხოელები ამ ქვეყანას მეორედ ვეღარ ესტუმრნენ, საქართველოში ხომ მხოლოდ ერთხელ, არავინ ჩამოდის.

TBILISI - WHERE GREAT CIVILIZATIONS MEET

As Rudyard Kipling once remarked, “East is East and West is West and never the twain shall meet.” And yet the poet would surely have changed his mind if he had visited Tbilisi, a city where East truly meets West.

Now is your chance to come to Tbilisi and see for yourself. Here you will find a fascinating blend of East and West in this ancient capital of Georgia, created at the crossroads of different trade routes and civilizations. You sense here a timeless uniqueness in the architecture, arts and traditions that infuse our country with a living history. Over the centuries Georgian culture has subtly blended Asian and European tastes, making Tbilisi the most delicious dish of all.

Autumn is an extraordinary time to be in Tbilisi. Georgia is the homeland of wine and this is the season for wine-making in the vineyards that surround the capital, bursting with grapes ready to be picked for the wine vats. This is a time when Georgians themselves are bursting with creativity and festive-making, and it is a time when the leaves across Tbilisi and Georgia turn golden.

It was because of another gold, the fabled Golden Fleece, that drew Jason and his Argonauts to our land, known as Colchis in the Classical Age. Their quest fulfilled, they left never to return as Jason continued his adventures, at his side his Georgian bride Medea. But Jason was an exceptional case, since every other visitor to

თუმცა თქვენ ძველი სტუმრებივით ნუ შეეცდებით ოქროს მოძიებას საქართველოს მთებსა და მდინარეებში, იმიტომ რომ ამ ქვეყნის მთავარი სიმდიდრე მაინც მისი ადამიანები არიან და თბილისში ჩამობრძანებისთანავე, ნებისმიერი უცხოელიც, ზემოთქმულში თავად დარწმუნდება.

თბილისის სტუმრები იმაშიც ადვილად დარწმუნდებიან, რომ ამ უძველეს ქალაქში სხვადასხვა ცივილიზაციის გზები გადაიკვეთა და ქართული არქიტექტურის, კულტურისა და ლიტერატურის უნიკალურობას ეს ფაქტიც განაპირობებდა. ქართული ხელოვნება საუკუნეების მანძილზე, ერთნაირად საზრდოობდა, როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური მიწნეებით და თბილისში ევროპის გავლენაც იგრძნობოდა ყოველთვის და აზიურ სურნელებასაც ჩამოსვლისთანავე გრძნობდა ნებისმიერი უცხოელი.

საქართველოში ისიც გაგაოცებთ, თუ როგორ შეიძლება, საყოველთაო გლობალიზაციის პირობებში, წარსულის ასე შენარჩუნება დღევანდელ ყოფაში და იმავდროულად ყველანაირი სიახლის ასე სწრაფად გათავისება. მგონი ამაში გადამწყვეტი ქართული ხასიათის ზოგიერთი თავისებურებაა, მაგრამ ამ პრანჭია და მეტიჩარა ხალხს თავისუფლების ისეთი სიყვარულიც აქვს, სასიამოვნო გაკვირვებას რომ გამოიწვევს. თბილისსა და საქართველოში, კიდევ ბევრი სიამოვნება გელით.

ამიტომაც არასოდეს იკითხოთ რატომ, თუ თქვენ გეძლევათ შანსი, თბილისსა და საქართველოს ესტუმროთ, რადგან ეს არის ქალაქი და ქვეყანა, რომელსაც ვერასოდეს დაივიწყებთ...

დათო ტურაშვილი
მწერალი

Georgia vows to come back again and to explore more. Even more rewarding than seeking gold in our earth, rivers and mountains is our country's true wealth: the Georgian people. And nowhere will you find this more so than in Tbilisi.

In these fast changing times of globalization, you may be surprised at how it is possible in Tbilisi to cherish traditional values and lifestyles while at the same time being able to easily assimilate the newest. Such easygoing attitudes sometimes seem to be God-given to Georgians, a happy and alluring people, whose passionate love for their freedom will fill your visit with many pleasant surprises, making Tbilisi the city you will always want to come back to.

Dato Turashvili
Writer



ფსიქოლოგია და მოუხელთებელი ეფემერულობას შორის

კინემატოგრაფისგან განსხვავებით, თეატრი დროის ფიქსაციის, მისი შენახვის მიუღწეველი საშუალებაა. რეჟისორები და კრიტიკოსები მუდმივად მოთქვამენ იმ „ეფემერულობაზე“, რომელიც ყველა დიდი სპექტაკლის თანამდევია და რომელიც ფირზე სრულყოფილად არასოდეს აღიბეჭდება და არც რჩება. თეატრალური წარმოდგენა კი თითქმის მოუხელთებელია და ყველა მცდელობის მიუხედავად, დროისა და სივრცის კოორდინატთა სისტემის მიღმაა. თუმცა ოქტომბერში გამართული თბილისის მეორე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ამ მოსაზრების გაბათილებას ნაწილობრივ მაინც შეეცდება.

დატვირთული, საინტერესო და ჭრელი პროგრამა კლასიკურად „გამართულ“ ღირსშესანიშნავ მოვლენებს, საინტერესო ექპერიმენტებსა და დამაინტრიგებელ სიახლეებს გვპირდება. და მაინც, უცხოური პროგრამისა და, ზოგადად, ფესტივალის უმთავრეს მოვლენად დიდი იტალიელი რეჟისორის, ჯორჯო სტრელერის ლეგენდარული სპექტაკლი – „ორი ბატონის მსახური“ შეიძლება მივიჩნიოთ, რომელსაც მილანის „პიკოლო თეატრი“ ორჯერ წარმოადგენს მარჯანიშვილის თეატრში. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს ისტორიული მოვლენაა, რადგან საქართველოში მაცურებელი პირველად იხილავს ჯორჯო სტრელერის სპექტაკლს, რომელიც კარლო გოლდონის პიესის კონგენიალური ვერსიაა. სწორედ „ორი ბატონის მსახური“ გაიხსნა თავის დროზე, 1947 წელს მილანის „პიკოლო თეატრი“, სადაც სტელერმა თავისი თეატრალური შედეგები განახორციელა. მათ შორის: შექსპირის „მეფე ლირი“, ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“, პირანდელოს „მთის გოლიათები“, გოლდონის „საზაფხულო

BETWEEN THE SOBER REALISM AND ELUSIVE EPHEMERALITY

Unlike cinema, theater is inaccessible possibility to fix time and reserve it. Directors and critics constantly complain about the ephemerality that follows all great performances, the ephemerality that never could be fully reflected on tape, that never remains. Theater performance is almost elusive and despite of all attempts, is beyond time and space coordinate systems. Nevertheless, Tbilisi International Festival of Theatre will try and partly contradict this conception in October .

Full, interesting and colorful program promises us classically arranged remarkable events, interesting experiments and designing news. And still, the most important event of Festival and its International Program in general, is the legendary performance of the great Italian director, Giorgio Strehler's

“Harlequin - The servant of two masters”. Piccolo Teatro di Milano performs twice in Marjanishvili State Drama Theatre. Without any exaggeration, this is historic event, as Georgian audience views the performance of Giorgio Strehler - the genial version of Carlo Goldoni play.

Piccolo Teatro di Milano opened exactly with the “Harlequin - the Servant of Two Masters” in 1947. In this Theatre Giorgio Strehler staged his theatrical masterpieces: Shakespeare's “King Lear”, Chekhov's “Cherry Orchard,” Pirandello's “Mountain Goliaths,” “Summer Trilogy” by Goldoni. However, the trademark of this great director after many years is still “Arlecchino, Servant of Two Masters”, in which one of the most famous actors Ferruccio Soleri performs more than 40 years already.

ტრილოგია”. თუმცა განვლილი წლების შემდეგაც ლეგენდარული რეჟისორის საფირმო ნიშანი მაინც „ორი ბატონის მსახურია”, რომელშიც „პიკოლო თეატრის“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მსახიობი, ფერუჩო სოლერი არლევინის როლს უკვე ორმოც წელზე მეტია თამაშობს! სტელერის „ორი ბატონის მსახური“ ევროპული თეატრის ისტორიაში დაახლოებით იგივე მნიშვნელობისაა, როგორც რობერტ სტურუას „კავკასიური ცარცის წრე“ ქართველებისთვის. ამდენად საპატიო „ასაკისა“ და ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები „ეფემერულობის“ მიუხედავად, სპექტაკლის დახვეწილი ესთეტიკა, მისი რეჟისურული ენა და მთავარი როლის, არლევინის როლის შემსულებელი, ბრწყინვალე ფერუჩო სოლერი უკვე ფესტივალის ხარისხის გარკვეული გარანტიაა.

სტელერის სპექტაკლის საიდუმლო მოულოდნელ რეჟისორულ კონცეფციასა და სოციალური პრობლემების ბუნებრივ შერწყმაში, ნატიფ კარნავალურობასა და თეატრალური ფორმის სრულყოფა-სიცხადეში უნდა ვეძიოთ. ალბათ ეს იყო სტურუას „კავკასიური ცარცის წრის“ უკვდავების მიზეზიც. ისიც უნდა ითქვას, რომ თბილისის საერთაშორისო ფესტივალის დირექციას საკმაოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდა ამ სპექტაკლის „ხელში ჩასაგდებად“, რადგან მაღალი ჰონორარის გამო სხვადასხვა რანგის საერთაშორისო ფესტივალები წლების განმავლობაში დგანან რიგში, რათა „ორი ბატონის მსახური“ მიიპატიჟონ.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ეს პატივი მხოლოდ 2008 წელს, ჩეხოვის საერთაშორისო ფესტივალს ხვდა წილად, რომელსაც უზარმაზარი ბიუჯეტი აქვს. და აი, ოქტომბერში ფერუჩო სოლერის არლევინის ოინებს, ბრწყინვალე კოსტიუმებსა და სტრელერის დახვეწილ-კარნავალურ რეჟისურას ჩვენი მაყურებელიც იხილავს.

არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენაა თბილისის საერთაშორისო ფესტივალზე ორი დიდი „ჰამლეტი“ ერთი პატარა ლიტვიდან. მჭვუნვარე მეტაფორების დიდოსტატი, ფილოსოფიური მასშტაბითა და განზოგადებით გამორჩეული რეჟისორი ეიმუნტას ნეკროშიუსი რამდენიმე წლის წინ დადგმულ „ჰამლეტს“ სპეციალურად თბილისის თეატრალური ფესტივალისთვის აღადგენს. ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებლის გარდაცვალების გამო სპექტაკლი დიდი ხნის განმავლობაში გაჩერებული იყო. „ჰამლეტს“ ლიტვური დასი „მეწი ფორტას“ რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე წარმოადგენს. ასე რომ, გასულ წელს წარმოადგენილი დამქანცველი, მაგრამ ბრწინვალე „ფაუსტის“ შემდეგ პუბლიკას ნეკროშიუსი მორიგ ესთეტიკურ გაკვეთილს ჩაუტარებს, პირობითი სახელწოდებით „ვათვინიერებთ კლასიკას“...

ახალგაზრდა, ამბიციური და გაბედული ექპერიმენტატორი, ერთდროულად ირონიული და პოეტური ნიაღვრეებით

Strehler’s “The Servant of Two Masters” has almost the same significance for the history of European Theatre as Robert Sturua’s “The Caucasian Chalk Circle” for Georgians. So despite of honorable “age” and already mentioned “ephemerality”, refined aesthetics of performance, stage language and directing, the actor of leading role - brilliant Ferruccio Soleri is already a certain guarantee of the quality of the festival.

We should look for a secret of Strehler’s production in natural combination of unexpected concept of directing together with social problems, in excellence of refined carnival and theatrical form. Perhaps exactly the same was the cloak for Sturua’s “The Caucasian Chalk Circle’s” eternity. It deserves to be mentioned that the Festival and its board of directors took a big effort to bring Strehler’s production to Tbilisi, as many different high-level international festivals try to get the performance for years.

In post - soviet space such a honor to host the Piccolo Teatro di Milano with “The Servant of Two Masters” had only Chekhov International Theatre Festival in 2008, the Festival with very high budget. And so, our audience in October will also see Ferruccio Soleri’s Harlequins tricks with brilliant costumes and Strehler’s sophisticated and carnival like stage direction.

Two great “Hamlets” from small Lithuania are also great events in the Festival program. Wisful master of metaphor, distinguished director with philosophical scale and generalization Eimuntas Nekrosius, restores “Hamlet”, staged several years ago specially for Tbilisi. Due to untimely death of one of the actors, performance was not performed for several years. Lithuanian Theatre MENO FORTAS

presents its performance in Rustaveli State Drama Theatre, big stage. So, after the splendid “FAUST”, Nekrosius will hold regular aesthetic lesson with conditional name “tame classics...”

Young, ambitious and bold experimenter, distinguished with both ironic and poetic rides, Oscar Korshunovas shows his “Hamlet” in Griboedov Theatre. After the audience’s favorite “Romeo and Juliet” showed by OKT last year in Tbilisi, the most important Shakespeare opus would be kind of a test for young Lithuanian director and I hope that the Georgian people judges it objectively. The real surprise awaits us from Iran, as the marionette opera “Rostam and Zohrab” staged by Behrooz Gharibpour, will significantly change our perception of Iranian theatrical culture. And maybe we also change mind on Russian Theatre after we see “Kopenhagen” by Bolshoi Drama Theatre from Saint Petersburg. Moreover, that refined direction of Temur Chkheidze is presented by brilliant acting: in the performance about Niels Born, a Nobel laureate, the main role is performed by Oleg Basilashvili.

გამორჩეული ოსკარას კორშუნოვასი კი დაახლოებით ორი წლის წინ დადგმულ „ჰამლეტს“ გრიბოდოვის თეატრში წარმოადგენს. გასულ წელს თბილისის ფესტივალზე წარმოდგენილი მისი ფავორიტი-სპექტაკლის – „რომეო და ჯულიეტას“ შემდეგ, ყველზე მთავარი შექსპირული ოპუსი ლიტველი რეჟისორისათვის ერთგვარი ტესტიც იქნება, რომელსაც, იმედია, ქართველი მაცურებელი ობიექტურად შეამოწმებს.

ნამდვილი სიურპრიზი გველის ირანიდან, რადგან რეჟისორ ბეჰრუზ ყარიბფურის მარიონეტული ოპერა „როსტამი და ზოჰრაბი“ მნიშვნელოვნად და საფუძვლიანად შეცვლის ჩვენს წარმოდგენას ირანულ თეატრალურ კულტურაზე. იქნებ სანკტ-პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრის სპექტაკლის „კოპენჰაგენის“ შემდეგაც შეგვეცვალოს წარმოდგენა რუსულ თეატრზე? მით უმეტეს, რომ თემურ ჩხეიძის რაფინირებულ რეჟისორულ ნამუშევარს, ბრწყინვალე სამსახიობო ნამუშევარიც დაემატება. სპექტაკლში, რომელიც ნობელის პრემიის ლაურეატზე, ფიზიკოს ნილს ბორზე მოგვითხრობს, მთავარ როლს ოლეგ ბასილაშვილი ასრულებს.

ჩამოთვლილი და გამორჩეული წარმოდგენებისა გარდა, მაცურებელს საშუალება ექნება იხილოს პატარა, უცნობი, მაგრამ საინტერესო თეატრალური დასები დიდი ბრიტანეთიდან, ხორვატიიდან, ესტონეთიდან, სომხეთიდან. მომავალ წელს კი ფესტივალის სიურპრიზი შესაძლოა სახელოვანი ტაივანური საცეკვაო დასი - CLOUD GATE აღმოჩნდეს, რომლის მოწვევასაც თბილისის საერთაშორისო ფესტივალის დირექცია აპირებს.

მოკლედ, ფხიზელი და სოციალური რეალიზმით გადაღლილ თეატრალებს შეუძლიათ თავი თეატრის მარადიულ, „მოუხელთებელ ეფემერულობას“ შეაფარონ.

დავით ბუხრიკიძე
კრიტიკოსი, ჟურნალისტი

